გზა ფინალისაკენ

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 28 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “შირაქი” (ლენინაკანი) 5:1 (1:1).

“შირაქი” – შაგინიანი (ხაჩიკიანი), მანუკიანი, კირაკოსიანი, სემერჯიანი, პაპოიანი, ავეტისიანი, ხაჩიკიანი, ვარდანიანი, ბოიაჯიანი, პოღოსიანი, აბრამიანი.

“დინამო” – კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ე. ხიარმსი (ტალინი).

სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, რომელიც მეორე წელია გრძელდება, თბილისის დინამოელებს შეექმნათ მდგომარეობა, რომელიც აშკარად იძლევა ამ უმაღლესი საფეხბურთო პრიზის მოგების შესაძლებლობას. მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თბილისელები სამჯერ გავიდნენ ტურნირის გადამწყვეტ ფაზაში – ფინალში და სამჯერვე დარჩნენ ე.წ. “ვიცე-პრიზიორის” როლში. თასი “ჯიუტად” რჩებოდა მოსკოვში.

წელს ჩვენს გუნდს კიდევ ერთხელ ეძლევა რეალური, სავსებით რეალური შანსი, გახდეს თასის მფლობელი და ეს შანსი ამჯერად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას ხელიდან გაშვებული. ბოლოს და ბოლოს, თასი უნდა ჩამოვიდეს იქ, სადაც ადრეც უნდა ჩამოსულიყო – საქართველოში.

ამიტომ განვლილი მატჩი ლენინაკანის “შირაქთან” შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ ეტაპად თასისათვის ბრძოლაში, სადაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა საკითხის დაყენება საეგებისოდ და სათუოდ. მატჩის მოგება საჭირო იყო აუცილებლად.

და დინამოელებმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მოიგეს კიდეც იგი საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიში – 5:1, მაგრამ მიუხედავად მათი სრული უპირატესობისა მოწინააღმდეგეზე, გამარჯვება მოვიდა მხოლოდ მეორე ტაიმში, მაშინ, როცა თავდამსხმელები მეტი ყურადღებით მოეპყრნენ ლენინაკანელთა კართან შექმნილ მომენტებს და კანონზომიერი დაბოლოება მისცეს თავიანთ განუწყვეტელ იერიშებს.

ძალთა შეფარდება მინდორზე 93 წუთის განმავლობაში ეჭვს არ იწვევდა, რომ გამარჯვება თბილისელებს დარჩებოდათ, მაგრამ ანგარიში გახსნეს არა მათ, არამედ “შირაქმა” (ავეტისიანი). ამ ლაფსუსის გამოსწორებას მასპინძლები კარგა ხანს მოუნდნენ და მხოლოდ ტაიმის დასასრულისათვის მიაღწია მიზანს კალოევის მიერ თავით კარში გაგზავნილმა ბურთმა – 1:1.

მეორე ტაიმში ყველაფერი თავის რიგზე დადგა. დინამოელებმა გაშალეს თამაში მინდვრის მთელ სიგანეზე და ლენინაკანელთა დაცვა ვეღარ ახერხებდა ტექნიკურად გაცილებით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლას. კალოევმა სულ მალე კიდევ ორი ბურთი გაიტანა, 32-ე წუთზე იამანიძემ თავისი გრძელი რეიდი ლამაზი გოლით დაამთავრა, ხოლო 41-ე წუთზე კალოევმა კიდევ ერთხელ აიძულა “შირაქის” მეკარე გამოეტანა ბურთი კარიდან – 5:1.

მაშ ასე, წინაა ნახევარფინალი და ფინალი. თბილისის “დინამოს” ყოველ წევრს ამჟამად უნდა ჰქონდეს ერთადერთი, გარკვეული ნათელი მიზანი – თასის მოგება.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 29 სექტემბერი, 1960 წ.